



N 41, 2022

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
SOCAR-ი და რუმინული კომპანია შავი ზღვის LNG-ინვესტიციებთან დაკავშირებით თანამშრომლობას გეგმავენ.....	2
ნავთობისა და გაზის კორპორაციამ თურქმენეთის დელეგაციას უმასპინძლა.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
ქარის ახალი ელექტროსადგურები თერჯოლისა და ტყიბულის ტერიტორიაზე მოეწყობა .....	3
ენერჯის განახლებადი წყაროები გლობალური ელექტროენერჯის მოთხოვნის ზრდას სრულად აკმაყოფილებს.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
ჭიათურაში ახალგაზრდებმა მზის სისტემების მონტაჟის შესწავლა დაიწყეს.....	4
საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციამ ენერგეტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი ინიციატივა – „ქალები ენერგეტიკაში“ წარადგინა.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ, მდინარეების რიონისა და ენგურის აუზებში ეკოლოგიური მონიტორინგი დაიწყო.....	6
არქტიკული ტბები ნავარაუდევზე თითქმის ერთი საუკუნით ადრე შრება .....	6
პუბლიკაციები.....	7
დონისძიებები.....	7

## ნავთობი და გაზი

### SOCAR-ი და რუმინული კომპანია შავი ზღვის LNG-ინვესტიციებთან დაკავშირებით თანამშრომლობას გეგმავენ

რუმინულმა სახელმწიფო კომპანია Romgaz-მა, აზერბაიჯანულ SOCAR-თან ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი. კომპანიებს შორის ბუდაპეშტში გაფორმებული შეთანხმება შავი ზღვის თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ობიექტებში ერთობლივი ინვესტიციების განხორციელებას ითვალისწინებს.

Romgaz-ი და SOCAR-ი ერთობლივი ძალებით ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს დააფინანსებენ. კვლევები შავი ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებზე თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ორ ტერმინალსა და რეგაზიფიკაციის ქარხნის მშენებლობას შეეხება. რუმინეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი ჩუკას განცხადებით, კომპანიების ინვესტიციები ევროპაში კასპიის გაზის გატანას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ რუმინულ და აზერბაიჯანულ კომპანიებს შორის თანამშრომლობა მხოლოდ ბუნებრივი აირით არ შემოიფარგლება და მწვანე ენერჯეტიკის პროექტების განვითარებასაც მოიცავს. ჩუკას ინფორმაციით, პროექტები ითვალისწინებს როგორც კასპიის ზღვის აუზში, ასევე შავი ზღვისა და რუმინეთის ტერიტორიებზე განახლებადი ენერჯის წარმოების გაზრდის შესაძლებლობებს.

რეგიონის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რუმინეთი ნაკლებადაა დამოკიდებული რუსულ ბუნებრივ აირზე. ქვეყანა Romgaz-ის, ნავთობისა და გაზის ჯგუფ OMV Petrom-ისა და Black Sea Oil & Gas-ის საშუალებით, ლოკალური საჭიროების 90%-ს თავად აკმაყოფილებს. რუმინეთის ბუნებრივი აირის საცავი ამჟამად მიზნობრივ 80%-ზე მეტითაა შევსებული.

ცნობისთვის, აზერბაიჯანულ და რუმინულ მხარეებს შორის ბუნებრივი აირის შესყიდვის შესახებ წინადადებები უკვე დიდი ხანია, რაც განიხილება. მიუხედავად ამისა, ერთობლივი გეგმები სხვადასხვა სატრანსპორტო ობიექტის აშენების თაობაზე, მოლაპარაკებების ეტაპს ჯერ არ გასცდენია.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/TNwyyuLo>

### ნავთობისა და გაზის კორპორაციამ თურქმენეთის დელეგაციას უმასპინძლა

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჩიქოვანმა შეხვედრა გამართა თურქმენეთის სახელმწიფო უწყებებისა და ბიზნეს სექტორის დელეგაციასთან, სახელმწიფო სასაქონლო ბირჟის დირექტორის, იუსუპ ამანსარიევის ხელმძღვანელობით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა თურქმენეთის ელჩი საქართველოში დოვლეთმურატ მურატოვი.

შეხვედრის მთავარ მიზანს ენერჯეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო გეგმების განხილვა წარმოადგენდა. სტუმრებმა სფეროს პოტენციალისა და რეგიონში საქართველოს სატრანზიტო როლის შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

განსახილველ თემებს შორის იყო ნავთობპროდუქტების სატრანზიტო პროცედურების გამარტივება და მოცულობის გაზრდა. აგრეთვე, ნავთობპროდუქტების იმპორტი,

საქართველოში მის გადამუშავებასა და დარეზერვებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების ერთობლივი განხორციელება.

გიორგი ჩიქოვანმა სტუმრებს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მუშაობის პრინციპი, მიმდინარე დღის წესრიგი და დაგეგმილი ნაბიჯები გააცნო. დეტალურად ისაუბრა კორპორაციის როლზე ქვეყნის ენერგოსტაბილურობის საქმეში. მან ენერგოსექტორის დივერსიფიცირების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და ამ მიმართულებით დასახულ მიზნებსაც შეეხო.

სახელმწიფო კონცერნ „თურქმენგაზის“ წარმომადგენელმა აღნიშნა ბუნებრივი გაზითა და მისგან წარმოებული პროდუქტებით ვაჭრობაში ორ ქვეყანას შორის დაწყებული წარმატებული საქმიანობის გაღრმავების აუცილებლობა.

მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელების მზაობა დააფიქსირეს და ერთობლივი სამუშაო პროცესის დინამიურად განვითარების სურვილი გამოთქვეს.

დელეგაციის შემადგენლობაში აგრეთვე შედიოდნენ თურქმენეთის ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის ხელმძღვანელი პირები და სახელმწიფო კონცერნ „თურქმენგაზის“ წარმომადგენლები.

წყარო: <https://cutt.ly/4NwypNJ>

## ელექტროენერგეტიკა

### ქარის ახალი ელექტროსადგურები თერჯოლისა და ტყიბულის ტერიტორიაზე მოეწყობა

თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ქარის ელექტროსადგურები მოეწყობა, – მთავრობამ „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“ პროექტის კონცეფციის მოწონებისა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელებაზე იმსჯელა.

ელექტროსადგურის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 103,5 მგვტ იქნება, სავარაუდო წლიური გამომუშავება – 362 მლნ.კვტ.სთ, ხოლო საპროექტო ღირებულება – 130 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

მინისტრთა კაბინეტმა დღევანდელ სხდომაზე 11 საკითხი განიხილა.

მთავრობის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტები „პირისათვის საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭების შესახებ“, რომლის საფუძველზეც რვა კომპანიას საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება.

წყარო: <https://cutt.ly/TNwyfn9>

## ენერჯის განახლებადი წყაროები გლობალური ელექტროენერჯის მოთხოვნის ზრდას სრულად აკმაყოფილებს

2022 წლის პირველ ნახევარში ენერჯის განახლებადმა წყაროებმა ელექტროენერჯის გლობალური მოთხოვნის ზრდა 100%-ით დააკმაყოფილა. Ember-ის Global Electricity Mid-Year Insights-ის ანგარიშის მიხედვით, შედეგად მსოფლიომ ნახშირიდან და გაზიდან ელექტროენერჯის წარმოების შესაძლო 4%-იანი ზრდა, წიაღისეული საწვავის \$40-მილიარდიანი ხარჯი და 230 მილიონი ტონა ნახშირორჟანგის ემისია აიცილა თავიდან.

ანგარიში ჯამში 75 ქვეყნის მონაცემებს აანალიზებს, რომლებიც ელექტროენერჯის გლობალური მოთხოვნის 90%-ს წარმოადგენს და 2022 წლის პირველი ექვსი თვის მაჩვენებელს, 2021 წელთან ადარებს. როგორც ცნობილი ხდება, ელექტროენერჯიაზე გლობალური მოთხოვნა 2022 წლის პირველ ნახევარში 389 ტერავატ/საათით (3%), ხოლო ქარის, მზისა და ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის გამომუშავება 416 ტერავატ/საათით (12%) გაიზარდა.

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის ზრდა მცირედით აღემატება ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდას. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის პირველ ნახევარში ქარისა და მზისგან ელექტროენერჯის გამომუშავებამ 300 ტერავატ/საათით იმატა და ელექტროენერჯის გლობალური მოთხოვნის ზრდის 77% შეადგინა. დანარჩენი უკვე ჰიდროელექტროსადგურებიდან წარმოებულ ელექტროენერჯიაზე მოდის.

საინტერესოა, რომ ჩინეთში ქარისა და მზის ენერჯის წარმოების მატებამ ქვეყნის ელექტროენერჯის მოთხოვნის ზრდის 92% დააკმაყოფილა, ამერიკის შეერთებულ შტატებში – 81%, ხოლო ინდოეთში – 23%. Ember-ის უფროსი ანალიტიკოსის განცხადებით, პირველი ნახევარი ძვირად ღირებული და დამაბინძურებელი წიაღისეული საწვავის ჩასანაცვლებლად სწორედ მსოფლიოში ელექტროენერჯის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი სუფთა ენერჯის გამომუშავებაა.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/eNwyxDw>

## განახლებადი ენერჯია და ენერჯოეფექტურობა

### ჭიათურაში ახალგაზრდებმა მზის სისტემების მონტაჟის შესწავლა დაიწყეს

ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის ბაზაზე „მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟის“ პროფესიული კურსი დაიწყო.

კურსი ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრისა და საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციის (GREDA) თანამშრომლობით შეიქმნა.

ჯგუფში ჭიათურასა და ზესტაფონში მცხოვრები 15 ახალგაზრდაა, მათ შორის – 3 ქალი. ხუთთვიანი სასწავლო კურსის ფარგლებში მონაწილეები სრულიად უფასოდ შეისწავლიან მზის ფოტოელექტრული სისტემების დაპროექტებას, მონტაჟსა და ექსპლუატაციას.

მსმენელებს ჩაუტარდებათ თეორიული კურსები განახლებადი ენერჯისა და გარემოსდაცვით საკითხებზე. კურსი მოიცავს ასევე პრაქტიკულ ნაწილს, რომელსაც

ახალგაზრდები ლაბორატორიაში გაივლიან. გარდა ამისა, დაგეგმილია ექსკურსია მზის მოქმედ ელექტროსადგურზე.

კურსის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟს ეხება, მომზადებულია “ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის” (ICCA) მიერ, რომელიც უახლოეს ხანებში გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შესაბამის სახელმძღვანელოსაც გამოსცემს.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმერეთში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მზის სისტემების მონტაჟის შესწავლა დაიწყეს. აღნიშნული პროფესია აუცილებელია ქვეყანაში ენერგეტიკის დარგის განვითარებისთვის, მაგრამ საქართველოს შრომის ბაზარზე ამ დრომდე დეფიციტურია. მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟის პროფესიულ კურსს ქიათურის მულტიფუნქციურ ცენტრთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ვახორციელებთ. ჩვენი თანამშრომლობის მიზანია, ერთობლივად შევუწყოთ ხელი იმერეთის რეგიონში განახლებადი ენერჯის დარგში არსებული პროფესიების პოპულარიზებასა და პროფესიული განათლების განვითარებას,“ - განაცხადა GREDA-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი აბრამიშვილმა.

წყარო: <https://cutt.ly/sNwynfC>

## საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციამ ენერგეტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი ინიციატივა – „ქალები ენერგეტიკაში“ წარადგინა

საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციამ (GREDA) 21 ოქტომბერს ენერგეტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი ინიციატივა – „ქალები ენერგეტიკაში“ წარადგინა.

ღონისძიება აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ქალთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფას სხვადასხვა პროექტების მეშვეობით, რომლებიც მიმართული იქნება სკოლის მოსწავლე გოგონებში ენერგეტიკის დარგის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, პროფილური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მხარდაჭერასა და ენერგეტიკის სექტორში დასაქმებულ ქალთა შორის მჭიდრო კავშირების დამყარებაზე.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს აშშ-ის ელჩმა კელი დეგანამა და GREDA-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი აბრამიშვილმა. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც ენერგეტიკის დარგში მოღვაწე, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელმა 50-მდე ქალმა მიიღო მონაწილეობა. დისკუსიის მონაწილეებმა დარგში არსებულ გამოწვევებსა და ინიციატივის „ქალები ენერგეტიკაში“ ფარგლებში გადასადგმელ მომდევნო ნაბიჯებზე იმსჯელეს.

„საქსტატის მონაცემებით, დღეს საქართველოს ენერგეტიკაში ქალთა რაოდენობა დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 16% შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი გლობალურადაც მეტ მამაკაცს ასაქმებს, ვიდრე ქალს, ჩვენი ქვეყნის სტატისტიკა ამ

კუთხით გლობალურზე ბევრად დაბალია. ამ მოცემულობას შესაძლებელია, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდეს: აბიტურიენტებში დარგის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა, გარკვეული სტერეოტიპები საზოგადოებაში თუ სხვა. ჩვენი ახალი ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით როგორც სკოლის მოსწავლე გოგობთან და დარგთან დაკავშირებული სპეციალობის მქონე სტუდენტებთან, ასევე ენერგეტიკაში მომუშავე ქალებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს დარგში ქალთა მეტი ჩართულობა“, – აღნიშნა ასოციაციის დირექტორის მოადგილემ ირინა პეტრიაშვილმა.

წყარო: <https://cutt.ly/YNwyRjR>

## კლიმატის ცვლილება

### გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ, მდინარეების რიონისა და ენგურის აუზებში ეკოლოგიური მონიტორინგი დაიწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ, მდინარეების რიონისა და ენგურის აუზებში ეკოლოგიური მონიტორინგი დაიწყო, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მონიტორინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირი გარემოსათვის – წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები (EU4WD)“ ფარგლებში მიმდინარეობს.

პროექტის მთავარი მიზანია წყლის რესურსების სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და გარემოსდაცვითი მონიტორინგის აქტივობების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ზედაპირული წყლების მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესებას, სააუზო მართვის გეგმების შემუშავებასა და ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის გარემოსდაცვითი პრინციპების დანერგვას.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების და პროექტის ექსპერტების მიერ, კვლევები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიებზე, წინასწარ შერჩეულ საკვლევ წერტილებზე განხორციელდა. მიღებული შედეგების საფუძველზე, მოხდება საკვლევ უბნების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება.

წყარო: <https://cutt.ly/CNwyUx9>

## არქტიკული ტბები ნავარაუდევზე თითქმის ერთი საუკუნით ადრე შრება

ახალი კვლევის თანახმად, არქტიკული ტბები ნავარაუდევზე თითქმის ერთი საუკუნით ადრე შრება, რაც რეგიონს მტკნარი წყლის კრიტიკულ წყაროს ართმევს.

გლობალური დათბობის პირობებში, თბილი ამინდი ათბობს არქტიკას, ყინული სწრაფად დნება და იწვევს ტბების გაფართოებას. საბოლოოდ, ეს ტბები წყლით ვეღარ მომარაგდება

და დაშრება. ადრინდელი პროგნოზით ამ პროცესს საუკუნეზე ნაკლები უნდა დასჭირვებოდა, მაგრამ სატელიტურმა სურათებმა ცხადყო, რომ ტბები იმაზე სწრაფად მცირდება, ვიდრე ნავარაუდები იყო.

მკვლევრები 2000 წლიდან 2021 წლამდე თვალყურს ადევნებდნენ არქტიკული ტბის საფარის მკაფიო კლების ტენდენციას. კლება დაფიქსირდა საკვლევი ტერიტორიის 82%-ზე, რომელიც მოიცავდა კანადის, რუსეთის, გრენლანდიის, სკანდინავიისა და ალასკის დიდ ნაწილს. მეცნიერების თქმით, წყალი იმიტომ იწრიტება, რომ თბილი ჰაერი და შემოდგომის უხვი წვიმები ადნობს მარად მზრალ ნიადაგს არქტიკის ტბების გარშემო და ქვემოთ. წვიმების ეფექტი არ იყო აღრიცხული წინა მოდელებში, რომლებმაც აჩვენა, რომ ტბები უფრო გვიან შრება. კვლევა გამოქვეყნდა ჟურნალში „Nature climate change“.

წყარო: greenpole.org - <https://cutt.ly/YNwyO7J>

## პუბლიკაციები

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ინგლისურენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## ღონისძიებები

სემინარი: ეკონომიკური სარგებლის მიღება ენერჯის მოხმარებიდან

თარიღი და დრო.: 27 ოქტომბერი, 2022, 13:00 – 14:00 (CEST)

ადგილი: ონლაინ ფორმატში

რეგისტრაცია - <https://register.gotowebinar.com/register/355317230707733644>

შეხვედრა - ხეების დარგვის საერთაშორისო ინიციატივა

თარიღი: 10-13 ნოემბერი, 2022

ადგილი: კონიკა - ბურაზინი, საბერძნეთი

კონტაქტი: [promitheasnews@kepa.uoa.gr](mailto:promitheasnews@kepa.uoa.gr)

მსოფლიო მდგრადი ენერჯეტიკის დღეები

თარიღი: 1-3 მარტი, 2023

ადგილი: ველსი, ავსტრია

[www.wsed.at](http://www.wsed.at)